Like 14 Share

საქართველოში ჰოლივუდის ყველა ვარსკვლავი ჩამოვა - გიგა აგლაძე

საქართველო, თბილისი - 18:08 | 14.09.2017 **ნანახია:** 898

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში დღეს კავკასიაში დევიდ ლინჩის ფონდის (DLFC) ხელმძღვანელს გიგა აგლაძეს და მის გუნდს შეხვდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე საგზაო უსაფრთხოების კამპანია მნიშვნელოვან ბაზას ქმნის დევიდ ლინჩის ფონდის ინიციატივისათვის ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციისა და პოსტ-ტრავმული რეაბილიტაციის მიმართულებებით.

გიგა აგლაძის განცხადებით უკვე გადაწყვეტილია, რომ დევიდ ლინჩი ნოემბერში გვესტუმრება და ფართო აუდიტორიასთან გამართავს შეხვედრებს, გაიმართება მისი ფილმების ჩვენებაც.

,, ის პროექტები, რისი გაკეთებაც იგეგმება ქვეყნისთვის, არის ძალიან მნიშვნელოვანი, მათ შორის არის დევიდ ლინჩის სახელობის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის და ა-კლასის კინოფესტივალის დაარსება. ჩვენი ქვეყნისთვის უდავოდ მნიშვნელოვანია, კინემატოგრაფიის ენაზე რომ ვთქვათ, ასეთი ახლო ურთიერთობა ჰოლივუდთან და დიდ რეჟისორებთან, ვინაიდან დევიდ ლინჩის ფონდი 250 ცნობილ სახეს აერთიანებს, მათ შორისაა მარტინ სკორსეზე და ა.შ და ა.შ. ვფიქრობთ, რომ ყველაფერი იქნება ისე, როგორც ქვეყანას სჭირდება. ამ ფონდის გახსნით საქართველოში და კავკასიაში, ჩვენ არა თუ უკვე მივუახლოვდით ამ ადამიანებს, პირიქით საქართველოში ველოდებით მათ. სულ მალე საქართველოში ჰოლივუდის ყველა ის ვარსკვლავი ჩამოვა, რომელთა ნახვაც აქამდე მხოლოდ კინოეკრანზე შეგვეძლო‘‘, - განაცხადა გიგა აგლაძემ.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ფონდის დამფუძნებელი კონსტანტინე ბათმანიდი, მრჩეველი კომუნიკაციის საკითხებში ნინა ცაგარელი და მრჩეველი მარიამ თოიძე.

კავკასიის ფონდი 2017 წლის 25 ივლისს დაარსდა და იგი საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს. ფონდი რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს. გარდა უნივერსიტეტის დაარსებისა და კინოს ვარსკვლავებთან შეხვედრების ორგანიზებისა, ფონდის მიზანია TM (ტრანსცენდენტალური მედიტაციის) პროგრამის მეშვეობით ტრამვისა და ტოკსიკური სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, მათი ჯანმრთელობის, შემეცნებითი უნარების და შრომისუნარიანობის გაუმჯობესება, ასევე საზოგადოებაში მათი ინტეგრირება.

Very soon Georgia will be visited by those Hollywood Stars, whom we yet had a chance to see only on the screens – Giga Agladze

The chairperson of the Education, Science, and Culture Committee Mariam Jashi met with the head of David Lynch Foundation Caucasus Giga Agladze and his team, today.

Ongoing road safety campaign by Ministry of Internal Affairs creates an important base for the David Lynch Foundation Initiative for the purpose of car accident prevention and post-traumatic rehabilitation.

According to Giga Agladze, David Lynch will visit us in November and will hold meetings with the public. Also, his film screening is planned.

Those projects that are planned for the country are very important. Among them we have to note establishment of Film University and A-class film festival. It's undoubtedly important for our country, to express it in cinematic mode to have a relationship with Hollywood and such a big film director, as David Lynch Foundation unites about 250 famous faces like Martin Scorsese etc. We think that everything will be the way that our country needs. With the establishment of this Foundation in Georgia and in Caucasus, we not only move closer to those people, but we are also expecting them in Georgia. Very soon Georgia will be
visited by those Hollywood Stars, whom we yet had a chance to see only on the screens.
– Announced Giga Agladze.

The meeting was also attended by one of the founder of the Foundation – Konstantin Batmanidi, communications advisor – Nina Tsagareli, and advisor – Mariam Toidze.

The Foundation in Caucasus established on the 25th of July of 2017 and it unites Georgia, Azerbaijan and Armenia. The Foundation will work in several directions. Except of university establishment and organizing meeting with the film stars, the purpose of the foundation is a psychological rehabilitation of people with post-traumatic stress disorder by means of TM (Transcendental Meditation) programs, improvement of their health, cognitive and working abilities, as well as their integration in the society.